ხაშურის მოამბე

№32 (405) 28 აგვისტო, ორშაბათი, 2023 წელი

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ იერუსალიმში ცხოვრობდა, იოანე ღვთისმეტყველის სახლში. უბიწო ქალწული მოციქულებთან ერთად ლოცულობდა, უყვებოდა მათ ძე ღვთისას შესახებ, ნუგეშს სცემდა და განამტკიცებდა. ყველანი საოცარ მოწიწებას გრძნობდნენ დაუტევნელის დამტევნელი დედის მიმართ. სხვა ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ მის სანახავად და მისი მადლმოსილი სიტყვების მოსასმენად. როცა ჰეროდე მეფემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, 43 წელს, ყოვლადწმიდა მარიამმა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად, ეფესოს მიაშურა, იყო კვიპროსზეც – მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესთან, ქრისტიანობა იქადაგა ათონის წმიდა მიწაზე. ბოლოს კი, ღვთის ნებით, კვლავ იერუსალიმს დაუბრუნდა. ის ხშირად ევედრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული სასუფეველში. და აი, ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ზეთისხილის რტოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ მარიამ, რომელმან ჰშვენ ღმერთი ჩუ ჱნი, ლოცვა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქმნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა, ნეტარო, და ზეცასა აღხვალ!” ღვთისმშობელი დიდად გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო. მოციქულები ამ დროისათვის იერუსალიმში არ იყვნენ – სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ, მაგრამ მარიამს ძალიან სურდა, ამსოფლიდან განსვლამდე ყველანი ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აუსრულა ნეტარს: მეყსეულად შემოჰკრიბა მასთან მაცხოვრის ყველა მოწაფე. ხუთი მათგანი მკვდრეთით აღმდგარიყო. მოციქულები მიესალმნენ მას და მოუთხრეს, თუ როგორ იქნენ აღტაცებულნი მოღვაწეობის ადგილებიდან. გახარებულმა

უბიწო ქალწულმა მადლობა შესწირა ღმერთს, შემდეგ კი თავის მიცვალებაზე დაიწყო საუბარი. სწორედ ამ დროს ასევე სასწაულებრივ წარდგა მათ წინაშე პავლე მოციქულიც თავისი მოწაფეების: დიონისე არეოპაგელის, საკვირველი იეროთეოსის, ღვთაებრივი ტიმოთეს და სხვა სამოცდაათთაგანთა თანხლებით. მარიამი სახელებით უხმობდა ყველას, ქებას ასხამდა მათ სარწმუნოებას და აკურთხებდა. შემდეგ წმიდა დედა იაკობ მღვდელმთავრის ხელით ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა. მესამე ჟამს – ღვთისმშობლის ამსოფლიდან გასვლისას საოცარი ნათლით გაბრწყინდა ის ოთახი, რომელშიც იგი იწვა, „იქმნა დიდებით განსაკჳრვებელი მოსლვა ქრისტეს ღვთისა და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა”. მან წმიდა და ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა „საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თჳსთა ზედა მიირქუა” და ანგელოზთა გალობის თანხლებით აამაღლა ზეცად. მთელი სახლი საოცარი სურნელებით აივსო. მოციქულები კრძალვით მიეახლნენ ნათელშემომდგარ წმიდა ცხედარს, შემოკრბენ „სნეულნი და არა ძლებულნიც” და მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა. ქრისტეს მოწაფეებმა ღამე ლოცვაში გაათიეს და პარასკევ დილით ღვთისმშობლის პატიოსანი ნეშტი სიონიდან გეთსიმანიაში გადაასვენეს. გაბოროტებულ ურიათაგან ერთ-ერთმა, „იწყო დაქცევად ცხედრისა, ვითარ-იგი მოციქულთა ეტჳრთა”, მაგრამ უფლის ანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ორივე მხარი მოჰკვეთა მკრეხელს, რომლებიც ცხედრის მახლობლად, ჰაერში დაეკიდა. მოციქულებმა წმიდა ცხედარი დაასვენეს და უბიწო ქალწულს შეავედრეს მონანული. მოკვეთილი მკლავები მას ისე სასწაულებრივად მიეზარდა მხრებზე, რომ ჭრილობის კვალიც აღარსად ჩანდა. მოციქულებმა ღვთისმშობლის წმიდა გვამი აკლდამაში დაკრძალეს. ყოვლადწმიდა მარიამის მიძინებას ერთი ათორმეტთაგანი – თომა ვერ შეესწრო. ღვთის განგებით, იგი სწორედ კვირა ღამეს მივიდა გეთსიმანიაში და ღვთისმშობლის გარდაცვალებით შეწუხებულმა, ითხოვა, საფლავი გაეხსნათ, რომ წმიდა გვამისთვის თაყვანი ეცა. კარი მართლაც გააღეს, მაგრამ აკლდამა ცარიელი დაუხვდათ. მაშინ, ერთი ცნობით, „გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე, წინაშე კიდობანსა მას, ვითარცა ხორცითა და ჩვეულებისაებრ მდგომარე იხილეს წმიდა ღვთისმშობელი და თაყუანისცეს”. ყოვლადწმიდამ თომა ახლოს მიიხმო და მისი სარწმუნოების აღიარება რომ მოისმინა, „შეიტკბო და აკურთხნა და უჩინო იქმნა”. სხვა წყაროთა მოწმობით, ყოვლადწმიდა მარიამი მაშინ გამოუჩნდათ გაოცებულ მოციქულებს, როცა შინ დაბრუნდნენ და ტრაპეზს შემოუსხდნენ. ღვთისმშობელმა მათ მიმართა: „გიხაროდენ! მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა შინა”.

ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტით შენობის სრული რეკონსტრუქციაა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს, როგორც დარბაზის, ასევე, კულისებისა და ადმინისტრაციული ოთახების მოწყობა.

„პროექტის ფარგლებში, დარბაზში დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემები, შესაბამისი აკუსტიკით. შენობაში მოწესრიგდება წყლის და კანალიზაციის სისტემები, იქნება გათბობა, გამოიცვლება სახურავი. შენობა ადაპტირდება შშმ პირებზე და ექნება სათადარიგო გასასვლელი. ეს პროექტი ყველა ხაშურელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ამ შენობას მნიშვნელოვნად უკავშირდება.“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, პროექტი გარდამავალია, სამუშაოების ღირებულება 1714744 ლარს ითვალისწინებს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

კულტურის სახლი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა, შემდგომ, იყო გარკვეული შეფერხებები, რამაც შენობის რეაბილიტაციის პროცესები შეაჩერა.

მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ, ხაშურის მუნიციპალიტეტი კულტურულ ცხოვრებას კვლავ აქტიურად შეუდგება, მეტად ლამაზ და კომფორტულ გარემოში.

ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ნაწილობრივ დაიგო დეკორატიული ფილები, გაკეთდა განათებები, დამონტაჟდა სკეიტბორდის მოედნის, ფანჩატურების,საბავშვო ატრაქციონებისა და შადრევნის კონსტრუქციები.

„აღნიშნული პარკი ქალაქის ცენტში მდებარეობს და განსაკუთრებით, ახალგაზრდების საყვარელი ადგილია, ამიტომ სივრცის გალამაზება და კომფორტულად მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც სტანდარტებს შეეფერება, საბავშვო ატრაქციონების კუთხეს, კაუჩუკის მინდორი ექნება, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, გაგრძელდება ქვაფენილის დაგება, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და შეიღებება ცენტრალური შემოსასვლელი, მუდმივად ვიზრუნებთ სკვერის ყვავილებით გაფერადებაზეც და ამ მიმართულებით სამუშაოებს „ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ჩაატარებს“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის-გიორგი პაპიაშვილის განმარტებით,პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, ღირებულება კი 1 234 777 ლარს შეადგენს.

დავთარი რუისის სამწყსოისა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაეთიანების ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გამოსცა ნიკოლოზ მროველის „ დავთარი რუისის სამწყსოისა“.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში H-1294 ნომრით დაცული დოკუმენტის „დავთარი რუისის სამწყსოისა“=-ს საფუძველზე ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა, ბატონმა თამაზ ლაცაბიძემ. რედაქტორი ქალბატონი მაყვალა ხაჩიძე.

წიგნი საინტერესოა სპეციალისტებისა და თავისი კუთხის წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის.

დავთარი საეკლესიო საჭიროებისათვის 1715 წელს შეუდგენია, რუისის ეპისკოპოსს ნიკოლოზ ორბელიანს (1672-1732წწ), იგი იყო სულხან-საბა ორბელიანის ძმა, მან 1715 წელს ჩაიბარა რუისის საეპისკოპოსო კათედრა. იგი 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა რუსეთში და იქვე გარდაიცვალა 1732 წელს.

რუისის საეპისკოპოსო გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა და მოიცავდა რუისის ჩრდილო-დასალეთით მდებარე შიდა ქართლის სოფლებს ლიხ-ტაშირამდე. დავთრის მიხედვით რუისის სამწყსოში შედიოდა 93 სოფელი 2065 კომლით.

რუისის საეპისკოპოსოსოთან დაკავშირებულია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის არაერთი პოლიტიკური მოვლენა. რომელთა შორის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია 1104/1105 წლებში დავით აღმაშენებელის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის სახელით ცნობილი საეკლესიო კრება.

ნიკოლოზ მროველმა თავისი საეპისკოპოსო 1715 წელსვე აღწერა. აღწერის მიზანი იყო საეკლესიო გადასახადის ამოღების მოწესრიგება. თუმცა მას აღწერილი აქვს, არა მარტო საეკლესიო ყმები, არამედ სამწყსოს მთელი მოსახლეობა, რაც დავთარს უფრო მნიშვნელოვანს ხდის ინფორმაციის თვალსაზრისით.

დავთარში აღწერილია ალისწყლის, დვანისწყლის, ფცისწყლის, სურამისწყლისა და მდინარე შოლას აუზებში მდებარე სოფლები. პოლიტიკური დაყოფით, რუისის სამწყსო მოიცავდა მცირე სათავადოებს: საჩხეიძეოს, სააბაშიოს, სახიდირბეგიშვილოს, საამირეჯიბოს, საფალავანდიშვილოს, სადავითაშვილოს და სხვ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორი თითქმის მუდარით მიგვანიშნებს ერთ გარემოებაზე, იგი წერს,--„ამასაც ვიხვეწები: ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ, კოდის პურსა და საურავზე ქვეყანას გარჯიან და მე არ მიჯობს...ღ-თის სიყვარულისთვის ამ სამწყსოს მატიანეს ნურავის მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ, თუ ღმერთი გწამთ“.

დავთარი სხვადასხვა დროს შესწავლილი აქვთ ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ლევან მენაბდეს. 2015 წელს ს.მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომი,--რუისის სამწყსოს დავთარი 1715 წ.

როგორც აღვნიშნეთ, სულ აღწერილია 93 სოფელი, მათ შორის ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე არსებული სოფლებია: ტკოცა--33 კომლით, დუმცხოვი-26, ფლევი--13, ალი-22, ქინძათი-11, ცედანი--12, ოძისი--29, ურთხვა--11, ბიჯნისი-13, ჩუმათელეთი-22, ზინდისი--6, იტრია-42, სურამი-32, ზე სურამი-15 (გვერდისუბანი. დ.ჩ), ბეკამი-45, ტეზერი-49, მესამე სახუცო ტეზერი--40 ,ბელლითი-26, მონასტერი-6, ციხისძირი--11, შოლისპირი-16, ქვიშხეთი-26, ტაშისკარი--25, გორათი--4, შინდარა-18, ხაშური--15, ოსიაური--28, ჭალა-11, ლუბრუმა-12, ახალსოფელი--12, სატივე-12, აძვისი--10, ვაყა-30.

დავთრის მიხედვით, ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია ტეზერი. სამივე ტეზერში (ტეზერი, მეორე სახუცო ტეზერი, მესამე სახუცო ტეზერი) 1715 წლისათვის 111 კომლია დაფიქსირებული.

წიგნში ასევე ზოგდადაა განხილული დემოგრაფიული მდგომარეობა შიდა ქართლში, მეთვრამეტე--მეცხრამეტე საუკუნეებში ჩატარებული აღწერების საფუძველზე.

ქართლის დაპყრობის (1724 წ) შემდეგ , 1728 წელს ოსმალებმა აღწერეს ე.წ. თბილისის ვილაიეთი, დიდ დავთარში, რომელშიც შესულია რუისის სამწყსოს დავთარში აღწერილი სოფლები, ზოგიერთის გამოკლებით. (მონაცემები ძირითადად ემთხვეა ერთმანეთს)

რუისის სამწყსოში შემავალი ფრონეების ხეობები (მდ შოლას ჩათვლით) 1715 წლის შემდეგ აღწერეს ვახუშტი ბატონიშვილმა და იოანე ბატონიშვილმა.

ლეკიანობამ განსაკუთრებით მძიმე დაღი დაასვა ამ კუთხეს. 1804 წლის კამერალური აღწერების მიხედვით მხოლოდ 11 სოფელი ჩანს დასახლებული,--სოფელი ხაშური-- 12 კომლით, სოფელი ოსიაური-- 15,სოფელი ალი--67, სოფელი იტრია- 8, სურამის ციხეში--129, სოფელი ცხრამუხა-23, სოფელი ჭალა-39, სოფელი ზინდისი --12, სოფელი გვერდისუბანი--14, სოფელი ტეზერი--33, სოფელი ბეკამი--38, სულ 390 კომლი. ნასოფლარების ხელმეორედ დასახლება მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი ამავე საუკუნის საგლხო და ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ იწყება.

დავთარი ყურადღებას იქცევს გვარ-სახელებით. მასში სულ დაფიქსირებულია 784 გვარი.

დავთარი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს სამწყსო-საეპისკოპოსო გამოსაღებზე, ასეთი გამოსაღებები არის: დრამა, სახუცო, საწირავი, წასახურ-გადასახურავი და ნიშანი. წიგნში მოცემულია განმარტება თითოეული ამ გადასახადის შესახებ.

დავთარი შეიცავს ინფორმაციას სახელოთა შესახებაც, ასე მაგალითად, მოურავის სახელო 93 პუნქტიდან გვხვდება სამში, მამასახლისი 6 პუნქტში, გამგებელი--2 პუნქტში, სახლთუხუცესი 1-ში, ბოქაული 1-ში, მდივანი 1-ში, ნაცვალი 1-ში.

დავთარი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შიდა მიგრაციის პროცესებზეც, არაერთი კომლი ფიქსირდება ქართული ეთნიკური ერთეულის სახელწოდებით, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ისინი მოსულები არიამ ამ კონკრეტული კუთხიდან,--მეგრელი, იმერელი, ჯავახი, მესხი, რაჭველი, დვალი,, კახი.

„რუისის სამწყსოს დავთარი“ თანაბრად საინტერესოა დემოგრაფებისა თუ ონომასტიკოსებისათვის, საკუთრივ ისტორიკოსებისა თუ ეკონომიკის ისტორიკოსებისათვის. იგი ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გვართა გეოგრაფიაზე და მათი მოძრაობის შესახებ. გარკვეულ ინტერესს იწვევს შიდა მიგრაციის შესწავლის თვალსაზრისითაც.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული სოფლის ისტორიის შესწავლას, ქართული გვარ-სახელების კვლევას. ამ მიმართულებით დავთარი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ძეგლია.

დავით ჩადუნელი,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
წიგნადი ფონდის მცველი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31)

წერილი ,,ყაბული“(თანხმობა) აქვთ მღვდელ გრიგოლ კაპანაძეს, აგრეთვე ბერს, გიგოლას და გიორგი კაპანაძეებს.
რადგან ბერმა, გიგოლამ და გიორგიმ წერა არ იცოდა, მათ მაგივრად ხელს აწერს დიაკვანი გაბრიელ კაპანაძე.

ულუმბელებმა გათავისუფლებისათვის ბრძოლა 1833 წელს დაიწყეს. თუმცა ამირეჯიბებსა და მათ შორის ურთიერთობის დაძაბვას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60 – 70 - იანი წლებიდან აქვს უკვე ადგილი.

1775 წლის 29 ივლისს ერეკლე მეფეს რევაზ ამილახვარისთვის მიუბარებია ულუმბელები. ამასთან დაკავშირებით მას წერს: ,,ამირეჯიბებმა (ულუმბელებს-თ.ლ.) არა გამოართვან რა. ერთი მსახური ქაიხოსრო ამირეჯიბს იახლოს, ორი მსახური ზაზა ამირეჯიბს და ორი მსახური დავით ამირეჯიბს. სხვას ნურას იმსახურებენ, შემოდგომაზედ აირეჯიბებიც და ულუმბელებიც მეფის სამართალში უნდა მოვიდნენ და მათს საქმეს მაშინ გაასწორებს და გაარიგებს“.

მეფე ერეკლე II - ის 1776 წლის 26 თებერვლის ,,განჩინებითი წერილიდან“ ირკვევა, რომ ზაზა და დავით ამირეჯიბებისათვის ,,...ულუმბელებს უჩივლიათ, რომ მათი დებულება ულუმბელთ არა სდებოდესთ რა, ეკლესიის შეწირულნი იყვნენ“.

გამოძიებით აღმოჩენილა, რომ ეკლესიის ყმები ყოფილან, ,,რომელთაც არა სდებიათ რა ამირეჯიბეთი დებულება და ეკლესია მეფეთაგან სასაფლაოთ მისცემიათ“. ერეკლეს განჩინებით ამირეჯიბები და ულუმბელები ,,იმ წესით უნდა მოიქცნენ“, როგორც გადაწყვეტილებაშია ლაპარაკი. კერძოდ,

ულუმბელები დავით ამირეჯიბს უსამართლოთ წართმეულს რასაც უჩივიან, რაზედაც საბუთი უყონ, უნდა ერთი-ორათ გამოერთვას დავით ამირეჯიბს და თავის პატრონებს მიეცესთ.

- და თუ ზაზა ამირეჯიბს უსამართლოთ წაერთმიოს რამ და საბუთი უყონ, იმასაც ერთი-ორად გამოერთვას და პატრონებს მიცესთ.

- და რომელიც უწინდელი ქმნილი განაჩენი არის მეფისა, ამირეჯიბებიც და ულუმბელებიც იმას უნდა დასჯერდენ.

ზემოთ აღნიშნულის გამოძახილი უნდა იყოს ანტონ კათალიკოსის 1802 წლის 23 მაისის ,,განჩინებით წერილი“. ,,წერილის“ თანახმად კათალიკოსს ,,...ულუმბის ღვთისმშობლის მონასტრის ყმა-მამული, სამწყსო და შემოსავალ გამოეძიებია“. მასში ნათქვამია: ,,...ულუმბა ორმოცდაათი წელიწადი არის, რომ უშენი ყოფილა და ყმანი მისნი და მონასტრის ხატ-სამკაულნი, სიწმინდის ჭურჭერლნი მონასტრისა მის ყმათაგან დაკრძალული ყოფილა სამს წელს იმერეთს. შ(ემდგომა)დ მეფის ირაკლის ბრძანებით გარდმოუტანიათ და არადეთს სახასოს სოფელში მოუსვენებიათ და იმერეთს გარდახიზნულნი მეფეთაგან შეწირულნი მონასტრის ყმანი მეფეს ირაკლის ბრძანებით გარდმოსულან და დამდგარან ზოგნი არადეთს სოფელს, ზოგნი ავლევს ამირეჯიბის სოფელს, ზოგნი სხვასა და სხვას ადგილებში დაბნეულან ავის დროის მიზეზით და მძლავრებით უმსახურნიათ ამირეჯიბთ. და დიდის სამსახურით უტანჯავსთ და გაყრის დროს ამირეჯიბთ თავ-თავისად განუწილავთ. მას ჟამად არა ჰყოლია მონასტერს წინამძღუარი და უჩივლიათ მონასტრის ყმათ მეფეს ირაკლისთან და გუჯრების ძალით მეფეს განაჩენი უბოძებია“.

,,წერილში“ კონკრეტული მაგალითებია მოტანილი ამირეჯიბთა მიერ ულუმბელთა მიმართ განხოციელებულ ძალადობაზე:

,,მას ჟამად არა ჰყოლია მონასტერს წინამძღუარი და უჩივლიათ მონასტრის ყმათ მეფეს ირაკლისთან და გუჯრების ძალით მეფეს განაჩენი უბოძებია. შ(ემდგომა)დ განაჩენისა მალვით (ამირეჯიბს - თ.ლ.) მონასტრის ყმა ძმარაშვილი სეხნია კახის მდივნის სვიმონისთვის მიუყიდნია და ეგრეთვე ზაზა ამირეჯიბს მონასტრის კაცი შუბითიძე ცხენში მიუცია. რომელნიც ხენებულნი ესე კაცნი დაუხსნევინებია მეფეს ირაკლის და გაუყიდნია კიდევაცა მალვით რაოდენნიმე ყმანი მონასტრის. მეფეთაგან შეწირული ყმისა და მამულის ექვსი გუჯარი მიუბარებია ზაზასთვის მიღების ბარათის გამორთმევით მღუდელს მონასტრისას იოსებს და ეგრეთვე ღართის კარში ცხრა წიგნი მეფეთა ქართლისა და იმერეთისათა, მეფის ძეთა კათალიკოსთა და ულუმბის არხიმანდრიტისაგან შეწირულობის სამართლებისა და კანონებისა წაურთმევია ზაზას დასახიზნავად წამღების კაცისათვის. გარდა ამისა, ყვიჟინაძე ოთარისათვის მეფეს გიორგის მარტყოფს მამული უბოძებია, რომელსაც ყვიჟინაძეს ბოძებულს სიგელში უცხადებს მონასტრის ყმობას და მონასტრის სამსახურის დებას. დაუსახავს ამირეჯიბს თავისად ყმად ყვიჟინაძე. და ძველადგან ღვთისმშობლის ხატი მდიდრად შემკული, როგორც ყმანი მონასტრისანი მიუტაცნია მძლავრებით. ეგრეთვე ხატიცა ესე თვის სახელზედ დაუმტკიცებია მოჭედა მისი. რომელიც ხატი იგი ერთმანერთის ჯიბრით დაუწვავსთ ამირეჯიბთ. და შ(შემდგომა)დ მეფის ირაკლის ბრძანებით იმავე ხატის და მონასტრის ნივთით მოჭედილა და თავისი სახელი და მეუღლისა თვისისა დაუწერია მასზე ამირეჯიბს. და როდესაც მეფესთ შეწირულობის გუჯრები ჩამოერთმევათ, უბრძანებია კათალიკოზს ანტონის, სრული სამართალი და გარდაწყვეტილება ის იქნება. მეფის ირაკლის დროსვე დაუდგენია კათალიკოზსა მას ხსენებულსა არხიმანდრიტი თეოფანე, რომელიც მძლავრობით მიტაცებული ყმა და მამული არის უნდა განეცხადებინა კათალიკოზის წინაშე და დარჩომია კათალიკოზსა მას აღა-მაჰმად-ხანის მოსვლის აღსრულების მიზეზით. და რადგანაც მოვალე არის კათალიკოზი, რომ ყმა და მამული არ დაეკარგოს მონასტერს, ამისთვის დაუდვია შერილი ესე შ(ემდგომა)დ ამისსა გუჯრების გამოჩენით რაც აღმოიკითხება ის განიჩინება და მიერითგან ეკკლესიის შეწირულს ყმასთან და მამულთან ხელი აღარ ექნებათ“.

როგორც ჩანს საკითხი არც 1802 წლის შემდგომ მოგვარებულა ულუმბელებსა და ამირეჯიბებს შორის. ურთიერთობა კი უფრო და უფრო იძაბებოდა. სასამართლო მასალებიდან ირკვევა, ჯერ კიდევ მანამდე (1833 წლამდე - თ. ლ.), გლეხები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მებატონეებს, რომლებიც გლეხობის სასტიკ ექსპლოატაციას ეწეოდნენ. გლეხობა აღარ ემორჩილებოდა ამირეჯიბებს, რომლებიც მხოლოდ იასაულებისა და ერთგულ მოხელეთა დახმარებით ახერხებდნენ გლეხებისაგან ღალის წართმევას.

ერთ-ერთ დოკუმენტში გლეხები ამირეჯიბების შეახებ წერდნენ: „ვამტკიცებთ, რომ სწორედ ღალისა და კულუხის აკრეფის დროს თავადი ამირეჯიბები 20 კაცის რაოდენობით გვიდგებიან სახლებში მთელ თვეს, ზოგჯერ უფრო ნაკლებს, კაცებითა და ცხენებით და მით გვაჩანაგებენ ჩვენ. ხოლი რაც ჩვენ საკუთრად გვრჩება პური, იმასაც გვართმევენ, როცა დასჭირდებათ“ (ა. მათიაშვილი, საბატონო გლეხთა მოძრაობა საქართველოში.

საარქივო დოკუმენტში საკმაოდ ვრცლად არის საუბარი იმ ძალადობის შესახებ, რასაც `ამირეჯიბები მიმართავდნენ თავისუფლების მაძიებელი გლეხების წინააღმდეგ. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მათ ეხმარებოდნენ მაზრის ხელისუფალნიც, რომლებიც ყოველთვის თვალს ხუჭავდნენ გლეხთა საჩივარზე. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხთა რწმუნებული გაბრიელ კაპანაძე, რომლის სადაურობაც ა. მათიაშვილის ნაშრომში აღნიშნული არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი სოფელ წაღვლიდან უნდა იყოს.

ამირეჯიბებმა გაბრიელ კაპანაძეს არაერთხელ მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა ხან ხელით, ხან ფიწლით და ხან კეტით. არაერთხელ აუწიოკეს ოჯახი, მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხი მაინც ვერ გატეხეს.

როდესაც იგი თბილისში ჩავიდა გლეხთა საქმეზე საჩივლელად და თავადმა გ. ამირეჯიბმა კვლავ მიაყენა საშინელი ფიზიკური შეურაცხყოფა, ამის შემდეგ გაბრიელ კაპანაძე ფარულად გაემგზავრა პეტერბურგში იმპერატორ ნიკოლოზ პირველთან საჩივრის აღსაძვრელად.

პეტერბურგში წასვლის წინ გაბრიელ კაპანაძეს გლეხებმა დიდძალი ფული შეუგროვეს სახარჯოდ. დოკუმენტში ნათქვამია: „როცა გაბრიელ კაპანაძე წავიდა პეტერბურგში, მაშინ საულუმბოთა ყმათა ფრიად მრავალი მოჰკრიფეს ფული ერთმანეთში იმისათვის“.

1834 წლის თებერვალში გაბრიელ კაპანაძე უკვე პეტერბურგშია. ნიკოლოზ I - ისათვის წარდგენილ არზაში გაბრიელ კაპანაძე აღნიშნავდა ამირეჯიბის თვითნებობაზე. კერძოდ, იგი ამირეჯიბებისგან ულუმბელ გლეხთა უკანონოდ მითვისებაზე წერდა: „ჩვენი საზოგადოებისაგან... საუწყებო ადგილებში მრავალჯერ შეტანილ საჩივარზე ჩვენ არათუ ვერ მივიღეთ მფარველობა და დაკმაყოფილება, არამედ უფრო მეტად შეწუხებული აღმოვჩნდით თავად ამირეჯიბისაგან, რომელიც ჩივილისათვის სჯის ჩვენს რწმუნებულთ... რათა მომავალში აღარ გაბედონ მასზე ჩივილი და ბოლომდე მიჰყავს ჩვენი გაჩანაგება, გვართმევს ფულს, ცხენებს, ხარებს, პურს, ღვინოს და ა.შ. და ამით გვისპობს ჩვენი ოჯახების გამოკვების სახსარს!“.

იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა სპეციალური ბრძანებით ადგილზე ვითარების შესასწავლად გამოაგზავნა მოხელე, რომელსაც ულუმბოელი გლეხები შემდეგს უცხადებდნენ:

,,...ძველის ჟამითგანვე ვეკუთვნით ულუმბის მონასტერს, და საქართველოს მეფეების დროს გვყანდა არხიმანდრიტი და მას ვემსახურებოდით, ხოლო ოდესაც აღმღვრეულისაებრ მაშინდელის დროისა მოვაკლდით წინამძღვარს... მაშინ იწყეს მითვისებად ჩუენდა თვისსა ყმობასა შინა თავადთა ამირაჯიბოვთა არა ვუწყით ვითარის სამართლით და შეამთხვიეს წინაპართა ჩვენთაც მრავალი ბოროტები...“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ადგილობრივი მმართველობა აღსდგა ულუმბოელების წინააღმდეგ, რამაც ძლიერ გაამწვავა მდგომარეობა. საქართველოს მთავარ მმართებელმა ბარონ როზენმა რუსეთის მთავრობას სთხოვა პეტერბურგში მყოფი გაბრიელ კაპანაძის შეპყრობა და მისი საქართველოში ბადრაგით გამოგზავნა. 1834 წლის 10 ივლისს ბარონი როზენი ჟანდარმთა შეფს ბენკედორფს გაბრიელ კაპანაძესთან დაკავშირებით წერდა, რომ საქართველოში გახშირდა გლეხთა ურჩობა მებატონეებისადმი და განსაკუთრებით გამოჰყოფდა გორის მაზრას, სადაც, მისი სიტყვებით „უფრო მეტად, ვიდრე სადმე ამიერკავკასიაში გლეხთა გონება მოწამლულია თავიანთ მებატონეთაგან განთავისუფლების აზრით, რისთვისაც ეძებენ ყველა შესაძლო საშუალებას, ხარჯავენ ფულს, უთანხმდებიან ერთმანეთს და ირჩევენ რწმუნებულებს, არა მარტო აქაურ საუწყებო ადგილებში საქმეებზე სასიარულოდ, არამედ ფარულად გზავნიან მათ თვით ს. პეტერბურგში, როგორც ეს ამჟამადაც მოხდა“ .

ბარონი როზენი იძულებულია აღიაროს გაბრიელ კაპანაძის ავტორიტეტი, რომელიც მას თავის თანამოაზრე გლეხებს შორის ჰქონდა მოხვეჭილი. მას უკვირს გაბრიელ კაპანაძის გამბედაობა და ბენკენდორფისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: ,,საქმის გამოკვლევა გვიჩვენებს სადამდე მიდის გაბრიელ კაპანაძის კადნიერება თავის მებატონეთა წინააღმდეგ. თავად ამირაჯიბის საყვედურზე თავისუფლების ცრუ ძიების შესახებ, მან უპასუხა: ,,მე არ შევწყვეტ ჩივილს და ჩემსას გავიტანო.“ რომელ მებატონეს შეუძლია აიტანოს ასეთი კადნიერება თავის გლეხთაგან, რომლებიც იქამდე გაშმაგდნენ...რომ თავიანთ მებატონეებს სცემენო“ .

საქართველოს მთავარმმართებელი თვლიდა, რომ გაბრიელ კაპანაძის დასჯა მაგალითი უნდა გამხდარიყო მისი მსგავსი გლეხებისათვის, რომლებიც „უსამართლოდ“ ეძიებდნენ თავისუფლებას და როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჟანდარმთა შეფს სთხოვდა მის (გაბრიელ კაპანაძის - თ. ლ.) შეპყრობას და ბადრაგით გამოგზავნას. ბარონი როზენი წერდა: ,,ეს გახდება მაგალითი სხვა მის მსგავს მაბეზღარათა შესაკავებლად და შეაჩერებს ძლიერ მისწრაფებას გლეხებისას, რომლებიც ძალზე ხშირად უსამართლოდ ეძიებენ თავისუფლებას თავიანთ მებატონეთაგან და არ იშურებენ ამისათვის არც ფულს არც ჯაფას“

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, საქართველოს მთავარმმართებლის სურვილი ჟანდარმთა შეფმა დააკმაყოფილა. საქმეში მისი და ბენაერდორფის ჩარევის შედეგად იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გაბრიელ კაპანაძის საჩივარი უსამართლოდ მიიჩნია და ბრძანა მისი ბადრაგით უკან გაგზავნა.

1834 წლის სექტემბერში გაბრიელ კაპანაძე დააპატიმრეს და პეტერბურგის საპყრობილეში გამომამწყვდიეს. თუმცა მის უკან გამოგზავნაზე არავინ შეიწუხა თავი და იგი აქ თითქმის 3 წელი იმყოფებოდა.

1836 წლის 24 აპრილს გაბრიელ კაპანაძეს გამოესარჩლა პეტერბურგში მყოფი პორუჩიკი ევსტაფი ჯავახიშვილი, რომელმაც ბენკერდორფს მისი განთავისუფლება სთხოვა. ე. ჯავახიშვილი თავის თხოვნაში ბენკერდორფს მოაგონებდა, რომ გაბრიელ კაპანაძეს სქართველოში უნუგეშო მდგომარეობაში ჰყავდა დატოვებული ცოლ-შვილი. იგი ჟანდარმთა შეფს თხოვდა გაბრიელ კაპანაძის განთავისუფლებას და სადაც უბრძანებდნენ იქ მიიყვანდა კაპანაძეს საქართველოში.

ჯავახიშვილის ეს თხოვნა უყურადღებოდ დარჩა.
პეტერბურგის საპყრობილეში გამომწყვდეული გაბრიელ კაპანაძე დაავადდა და იქვე, ლაზარეთში გარდაიცვალა 1837 წელს. გ ა ბ რ ი ე ლ კაპანაძე დაბადებულია 1766 წელს. 1800 წელს ხელდასმული იქნა დიაკონად, ხოლო 1803 წელს მღვდლად. იყო სოფ. წაღვლის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი. საარქივო მასალების მონაცემებით ჰყოლია ოთხი ვაჟი: გრიგოლი (დაბ.1806 წ.), გიორგი (დაბ. 1808 წ; სწავლობდა სასულიერო სემინარიაში), ეგნატი (დაბ. 1810 წ.) და ბესარიონი (დაბ. 1816 წ.

ულუმბოელ გლეხებს არც ამის შემდეგ დაუყრიათ ფარ-ხმალი. მათ აირჩიეს ახალი რწმუნებული და კვლავ გააგრძელეს ბრძოლა თავისუფლებისათვის, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო.

1854 წელს, თითქმის ოცწლიანი ბრძოლა დასრულდა 63 კაცის, ამირეჯიბთა ყმობიდან გათავისუფლებით (იქვე, გვ.96).

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ხაშურელი ჯარისკაცები სამშობლოს სამსახურში -

„ფაქტი, რომ მე დღეს აქ ვარ, ხაზს უსვამს ჩემს მონდომებას, ვიყო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამხედრო კოლეჯის სტუდენტი“ – ქართველი სამხედრო ქალის წარმატების გზა

„ფაქტი, რომ მე დღეს აქ ვარ, ხაზს უსვამს ჩემს მონდომებას და მზადყოფნას, ხელმძღვანელობის მხრიდან ხელშეწყობას, ვიყო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამხედრო კოლეჯის სტუდენტი“, – ამბობს საუბრისას უფროსი ოფიცერი ზოია კურტანიძე, რომელიც სულ ახლახან, ესტონეთში,

ბალტიის თავდაცვის კოლეჯში ჩაირიცხა.

თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი ოფიცერი გვიამბობს, როგორ გაიარა სამხედრო პროფესიის გზა და გამოიყენა წლობით დაგროვილი ცოდნა 2008 წლის აგვისტოს ომში.

ამასთან, საიდან ან როდის გაუჩნდა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი და როგორ მიაღწია წარმატებას საჰაერო თავდაცვაში მსახურების დროს.

„21 წლამდე არასოდეს მიფიქრია გავმხდარიყავი სამხედრო, ვიდრე ერთ დღეს სამხედრო რეალურ შოუში არ აღმოვჩნდი. პროექტმა „ყაზარმამ“ ჩემში გარდატეხა მოახდინა.

სამხედრო პროფესიის განსხვავებულობა და განსაკუთრებულობა იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, უნივერსიტეტის დასრულებისთანავე, სწავლა სამხედრო აკადემიაში განვაგრძე.

22 წლის ვიყავი, როდესაც ოფიცერი გავხდი. საჰაერო თავდაცვაში ვმსახურობდი, ჩემი პირველი თანამდებობა საზენიტო-სარაკეტო ბატალიონში, ინჟინერ-ოპერატორი იყო. აკადემიაში მიღებული სამხედრო ცოდნის გამოყენება მალევე დამჭირდა, 2008 წლის ომში.

რამდენიმე წლის განმავლობაში ვმსახურობდი საბრძოლო ქვედანაყოფში, მერე საკარიერო გვარეობა შევიცვალე, კარიერული, პროფესიული თვალსაზრისით კიდევ უფრო განვვითარდი და ახლა თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტში ვმუშაობ, უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე“.

კითხვაზე, როგორ მოხვდა ბალტიის თავდაცვის კოლეჯში და რამდენად მნიშვნელოვანია მიღებული ცოდნის, უნარების საქართველოში გამოყენება, ზოიამ გვიპასუხა:

„ახლა ესტონეთში, ბალტიის თავდაცვის კოლეჯში ვსწავლობ, გაერთიანებულ სამეთაურო და გენერალური შტაბის კურსზე (JCGSC – Joint Command and General Staff Course). აქ თავდაცვის სამინისტროს პროგრამით ვარ, ოფიცერთა პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ კურსს გავდივარ.

აღნიშნული კურსის სტუდენტებს საშუალება გვეძლევა პარალელურად ვისწავლოთ ლატვიის ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე „სამხედრო ხელმძღვანელობა და უსაფრთხოების კვლევები“ (Military Leadership and Security Studies).

რა თქმა უნდა, ამ შესაძლებლობით აუცილებლად ვისარგებლებ, მით უმეტეს, რომ მაგისტრატურაზე სწავლა ისევე დაფინანსებულია, როგორც ბალტიის თავდაცვის კოლეჯში.

ყოველთვის ძალიან დიდი სურვილი მქონდა, რომელიმე ეტაპზე, განათლება საზღვარგარეთ მიმეღო, რაც ნიშნავს კიდევ უფრო განსხვავებული უნარების აღმოჩენასა და განვითარებას საკუთარ თავში, მაგალითად, როგორიც არის ადაპტირება და მოქნილობა, კულტურათაშორისი ურთიერთობების დამყარება, უცხო ენაზე კომუნიკაციის დახვეწა, განსხვავებული პერსპექტივები, უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებით მიღებული ცოდნა, კრეატიულობა და კულტურული ცნობიერების ამაღლება.

გარდა ამისა, ფაქტი, რომ მე დღეს აქ ვარ, ხაზს უსვამს ჩემს მონდომებას და მზადყოფნას, რომ ვიყო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამხედრო კოლეჯის სტუდენტი“. – ამბობს ზოია კურტანიძემ.

წარმატებები ღირსეულ ხაშურელ ქალბატონს - სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცს.

გზა შინისაკენ-ემიგრანტის დაბრუნება

პირველი ინსტინქტი იყო გაქცევა... მაშინ, როდესაც ქალაქი დაიბომბა, მნიშვნელობა დაკარგეს ნივთებმა, ლამაზმა სამოსმა, ძვირფასმა ჭურჭელმა, სამკაულებმა... და გამოიქცნენ... ზოგი ოდესიდან გემით, ზოგი პოლონეთისკენ უსასრულო საცობების გავლით...

და შინ დაბრუნდნენ, საქართველოში, საიდანაც მრავალი წლის წინ წავიდნენ. 27 წელი იცხოვრა უკრაინაში ნანა ერგემლიძემ მეუღლესთან და 4 შვილთან ერთად, რომელიც მათ მეორე სახლად იქცა.

აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. საქართველოს პოპულარიზაციას ეწეოდა. სიამოვნებით იხსენებს, წლებს, როცა კიევის ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელობდა. ელჩთან, მიხეილ უკლებასთან ერთად, ბევრ კარგ ღონისძიებას ჩაუყარა საფუძველი,

მრავალ ადამიანს გაუწია დახმარება. კენჭიც იყარა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე და ხმების საკმაო რაოდენობაც მიიღო.

„წლების წინ როცა ეს გზა ავირჩიეთ, არ ვიცოდით იქ რა გველოდა. გაგვიმართლა, რომ კარგი ადამიანები შეგვხვდნენ, გვერდში დაგვიდგენ და დღემდე ჩვენი მეგობრები არიან. საოცარი თანადგომა იციან უკრაინელებმა, ფიზიკურად, მორალურად თუ თანხით, არ აქვს მნიშვნელობა ქართველი ხარ თუ სხვა ეროვნების, ბოლომდე გიერთგულებენ. უკრაინაში გავატარე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება და გული მტკივა, რომ ბევრი ჩვენი მეგობარი ცოცხალი აღარ არის. იქ ბიზნესი ავაწყეთ, მქონდა რესტორანი კიევში და საცხობები ირპენთან და ბუჩასთან ახლოს, რომლებიც აღარ არსებობს. დაბომბეს ჩვენი რაიონიც კიევში. სანიმუშო სოლიდარობას გამოხატავდნენ ომის დროს უკრაინელები ერთმანეთის მიმართ, მოხდა სწარფი რეაგირება სახელმწიფოსგან, რომ დროულად და უსაფრთხოდ დაგვეტოვებინა ქვეყანა.“

დაბრუნებას ფიქრობდნენ, მაგრამ არა ასე მოულოდნელად. ბევრი რამე ეუცხოვა. ხშირად ადარებდა იქაურ მოვლილ ქალაქებს ჩვენს ქუჩებს. დღემდე აღიზიანებს მოქალაქეების ქცევა, უპასუხისმგებლო დამ-ოკიდებულება საკუთარი ქალა-ქისადმი, ქუჩებში სიგარეტის ნამწვავების და ნაგვის დაყრის ფაქტები. როდესაც გაიაზრა, რომ აქ, სამშობლოში სუფთა ფურცლიდან უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება, შვილებისთვის მიეცა სტიმული, გადაწყვიტა დანაზოგით და უკრაინელი მეგობრების დახმარებით, ის საქმე წამოეწყო, რაც იცოდა. იჯარით აიღო ფართი ქალაქის ცენტრში, გაარემონტა და სრულიად ახალი, ევროპული სივრცე შექმნა მომსახურების მაღალი სტანდარტით. ასე დაარსდა კაფე „პიცის დროა“. აქ ჩამოსულმაც ბევრი კარგი ადამიანი გაიცნო, ქალბატონ თამარი და ძალიან გულისხმიერი გოგონები სტამბიდან, ხათუნა ქიტიაშვილი სურსათის უვნებლობის სამსახურიდან, რომლებიც გზის გაკვალვაში ეხმარებოდნენ. „ჰასპის“ პროგრამაშიც ჩაერთო და დღეს რამდენიმე სკოლას მზა პროდუქტით ამარაგებს. დიდ მნიშვენლობას ანიჭებს კადრების შერჩევას. 5 თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული და ფიქრობს მომსახურების გაფართოებას.

„ომის საშინელი დღეების შემდეგ კაფის გახსნა იყო დღესასწაული ჩვენთვის, კიევიდან ჩამოვიდა შვილიშვილი მარიამი, რომელმაც თვითონ იზრუნა დიზაინზე. ქართულ-უკრაინულ ფერებში გააფერადა ყველაფერი, მოვიწვიეთ ახალშეძენილი მეგობრები, გავაშუქეთ ადგილობრივი ტელევიზიით. მარიამი (გვარად პაგრიბინსკაია) ნიჭიერი გოგონაა, რეჟისორია, წერს ლექსებს სიმღერისთვის და სურვილი აქვს საქართველოში

ჩამოიყვანოს მომღერლები. ყოველთვის სიამაყით უსვამს ხაზს, რომ დედით ქართველია“.

ამ პერიოდში მრავალი უკრაინელი შეიფარეს სახლში, ნაცნობი თუ სრულიად უცნობი. უმასპინძლეს, გააცილეს, ქართული სითბო აჩვენეს. მეუღლე ელდარ კუჭაიძე საოცრად მოსიყვარულე და მგრძნობიარე ადამიანია. ამ ომმა მას დიდი გულისტკივილი მოუტანა. ქალიშვილი კი ოჯახით კიევში დაბრუნდა და ცხოვრებას ომთან ერთად აგრძელებს. სიძე უკრაინელია. საკუთარი სახლი აქვთ, რომლის სარდაფს ახლა თავშესაფრად იყენებენ.

და ახლა ამ დახვეწილ, მშვიდ გარემოში ვსხედვართ. გვერდით ტანსაცმლის სექციაა, ესეც ახლი წამოწყებული საქმიანობაა დამატებით, ამიტომაც ჰქვია კაფე-ბუტიკი. მინდა უფრო მეტი ვკითხო ომზე, მაგრამ ვგრძნობ, რომ თავს არიდებს ჩემთვის უარყოფითი ემოციების თავისმოხვევას. ჩემ წინ ზის ქალი, რომელიც არ იმჩნევს, რა გადაიტანა. ქალი, რომლის ოჯახის წევრები კვლავ ომის ეპიცენტრში ცხოვრობენ, ქალი რომელიც არ უშინდება გამოწვევებს, შეუძლია დარჩეს ოპტიმისტად და შეინარჩუნოს ბედნიერება.

ვეკითხები: „ომმა რა შეცვალა თქვენში?“.

„ფასი დაკარგა ნებისმიერი ქონების ღირებულებამ, მოხდა გადაფასება, აღარ მაინტერესებს ნივთები, ავეჯი და სხვა... მნიშვნელოვანი გახდა ადამიანური ურთიერთობები, სიყვარულის გამოხატვა, ღიმილით შეგებება, თუ ვინმე უკმაყოფილოა, მინდა დავამშვიდო, დავეხმარო. მინდა ვემსახურო ადამიანებს, სიამოვნება და სიხარული მივანიჭო მათ, ვუთხრა, რომ გაიღიმონ, ცხოვრებაში ბევრად საჭირო სხვა ფასეულობებია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ.“

საუბარი დავასრულეთ. პიცის დროა...

მარიამ იზორია,

იბეჭდება „რეპორტიორ ქალთა აკადემიის“ კონკურსის ფარგლებში

ჩვენი ქალაქის ცენტრი დღეს.

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

- ვულოცავთ -

24 აგვისტოს, ქალბატონი ოლია მოწონელიძე 100 წლის გახდა

მასთან მისალოცად მისულებს, ულამაზესი ქალბატონი დაგვხვდა, ჩვენს დასახვედრად, ელეგანტურად გამოწყობილი გველოდებოდა. მილოცვების მიღების შემდეგ, მის განვლილ ცხოვრებაზე, კარიერაზე, ქმარზე, შვილებზე ვისაუბრეთ. სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ყველაფერს, რაც მის ცხოვრებაში იყო, ვინც მის ცხოვრებაში იყვნენ. სამი შვილის და ექვსი შვილიშვილის ბებიაა, მადლობელია უფლის, ამ საჩუქრისთვის და იმისთვის, წელთა სიმრავლე რომ უწყალობა. ფიზიკურად ვეღარ ეხმარება, ვეღარ ზრუნავს, მაგრამ მისი ფიქრი და დარდი მის შვილებთან და მონაგართანაა, კიდევ ერთი დილა ასე იწყება მის ცხოვრებაში. 100 წლის გახდა, თუმცა თავისი ქალური, დედური პეწი და ელფერი ადევს. ყველაფერს ირგვლივ, მისი ხელი და ლაზათი ეტყობა-როცა შეეძლო, როცა ფიზიკურად უფრო მხნედ იყო. ჩვენმა მისვლამ ძალიან გაახარა, მართალია, ძველებურად აღარ აქტიურობს, მაგრამ გული ისევ სტუმარს ელის, ისევ ადამიანები უყვარს. ოჯახი ყოველთვის აღნიშნავს მის დაბადების დღეს, ოჯახის მთავარი ძალის და ხერხემლის, საყრდენის დაბადების დღეს. ეს ერთიანობა ახარებს, ყველას, თავის მონაგარს რომ ასე, ერთიანს და მთლიანს ხედავს. ამით ხარობს. 100 წელი, ცოტა ხომ არაა, ოჯახის დედა 100 წლის გახდა. ვერც იფიქრებდა, ასეთ წელთა სიმრავლეს. მთელი დღე მილოცვებს იღებდა, ხარობდა. მივულოცეთ, მომავალ წელს სტუმრობას დავპირდით. ჩვენც დაგვლოცა, ხანგრძლივი სიცოცხლე გვისურვა, სამყაროს სიმშვიდე.

ასეთი ადამიანების არსებობა ძალას გმატებს, უფრო დაცულად გრძნობ თავს, რომ არაფერი გეტკინება, ცუდი არ მოგეკარება, რადგან, იცი, რომ 100 წლის ბებო, თავისი განლეული სხეულის სითბოთი, ჩაგეხუტება და ძვლებს გაგითბობს, სიცოცხლისთვის, გაგრძელებისთვის.

ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ ღირსეულ ქალბატონს საუკუნოვან იუბილეს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.